ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ესერიძე როლანდ

მცირე საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტი

ნაშრომი წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ა. ცინცაძე ეკონომიკის დოქტორი,მოწვეული ლექტორი.

ხიჭაური

2020

ანოტაცია

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო

მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)) კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

DCFTA- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (http://www.economy.ge)

Annotation

Entrepreneurial sector, especially small and medium enterprises, play an important role in the development of the economy and contribute to sustainable and inclusive economic growth. Small and Medium Enterprises may be considered to be the cornerstone of any economy in terms of employment growth and job creation, as well as taking into consideration the contribution to economic development and growth. A strong and well-developed small and medium enterprise sector significantly promotes export, innovation, creation of modern entrepreneurial culture, and at the same time plays a special role in raising the country's welfare level.

In recent years, Georgia has made significant reforms, including economic reforms, whose main goal was to do business and create a favorable environment for foreign direct investment, economic liberalization, administrative barriers and reducing the tax burden, improving public services, fight against corruption and other ways. As a result of these reforms, Georgia has reached high levels of economic growth. In addition, direct foreign investments flows in the country. Georgia's economic policy has been positively assessed by various rating agencies and international financial institutions and the relevant results were reflected in the indexes and ratings that evaluate economic freedom of the countries.

Despite the improvement of the general business environment, the challenges in Georgia in terms of small and medium entrepreneurship development, which are in many developing countries. Even though small and medium enterprises come from large enterprises, their contribution to GDP is still very low. The Government of Georgia attaches special importance to the development of small and medium entrepreneurship in the economic development process and aims at further improvement of the entrepreneurial environment that will facilitate the growth and development of small and medium enterprises.

The Government of Georgia pays special attention to the competitiveness of private sector and especially small and medium enterprises in the context of the EU-Georgia Association Agreement (which is an integral part of the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA). Adaptation and fulfillment of DCFTA's requirements is especially important for Georgia to enable the business to maximize the potential of export potential.

Consequently, except for legislative and institutional approximation, the importance of private sector, including small and medium enterprises, is to meet the DCFTA requirements.

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად .“

შესავალი

თემის აქტუალობა - განპირობებულია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის (მსმ) განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნის ობიექტური აუცილებლობით. ეს მოითხოვს რიგი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული პრობლემის გადაწყვეტას. ბოლო ათეული წლების განმავლობაში მსმ მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ატარებდა უპირატესად დეკლარირებულ ხასიათს. რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების (შემდგომ გაუქმების) მიუხედავად არსებითი წინსვლა ამ სფეროში არ შეინიშნება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნას, ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმებას, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის დამყარებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით აუცილებელია ჩამოყალიბდეს სათანადო ინსტიტუციონალური ბაზა. საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) განვითარებისა და ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდები და ფორმები. შესაქმნელია სპეციალური სამთავრობო ორგანო, რომელსაც დაეკისრება ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის საქმიანობათა კოორდინაცია, საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება.

კვლევის მიზანი - მდგომარეობს მსმ-ის სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბების წინადადებების შემუშავებაში, რაც გულისხმობს:

- სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოს შექმნა.
- ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიაში მცირე და საშუალო მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის წამყვანი რგოლის, ადგილის ზუსტი განსაზღვრა.
- უფლებამოსილების მინიჭება სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა თავიანთი მოთხოვნილების შესაბამისად განახორციელონ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მხადაჭერა

- მჭიდრო და რეგულარული კონტაქტების დამყარება მცირე და საშუალო საწარმოებთან მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესწავლისა და დახმარების გაწევის მიზნით.
- მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის მდგომარეობის და მეწარმეობის განვითარების პროგრამების რეგულარული ანალიზი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

მსმ-ის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემამ უნდა მოიცვას რეგიონალური და მუნიციპალურ ფონდები, სააგენტოები, საინფორმაციოსაკონსულტაციო და სასწავლო ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, სალიზინგო კომპანიები და სხვ. შესაძლებელია, რომ მათი დაფუძნება განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მონაწილეობით. მისი მეშვეობით უნდა დაფინანსდეს მნიშვნელოვანი რეგიონალური პროგრამები და სამეწარმეო პროექტები.

კვლევის მეთოდოლოგია -კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, ექსპერტთა შეფასებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს მსმ-ის სახელმწიფო მხარდაჭერის ქმედითი სისტემის შექმნაში. საწარმოებს, მათ შორის დამწყებ მეწარმეებს მიეცემათ საშუალება მიიღონ სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, მოიზიდონ სასტარტო კაპიტალი და საჭირო საკრედიტო რესურსები მათზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობათა გაზრდის კვალობაზე, ამაღლდება ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მსმ-ის განვითარების საქმეში. ფერმერთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებით, ბევრ სასოფლო რეგიონში, ბიზნესისა და მრეწველობის განვითარებაზე სესხის მიღების შესაძლებლობების გაზრდა გახდება მნიშვნელოვანი ფინანსური სტიმული ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და კაპიტალის ინვესტირების მხრივ.(http://www.nplg.gov.ge) (ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები: მსმ - მცირე და საშუალო მეწარმეობა. მსს - მცირე და საშუალო საწარმოები.ჩასაწერია სქოლიოში)

სარჩევი

თავი 1.მცირე საწარმოთა განვითარების ფინანსური პრობლემები

1.1.მცირე საწარმოთა განვითარების მდგომარეობა საქართველოში----------6

1.2.საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი,როგორც საწარმოთა მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველი----------14

თავი 2. მცირე საწარმოთა დაფინანსების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

2.1 მცირე საწარმოთა განვითარების ტენდენციები საზღვარგარეთის ქვეყნებში---23

თავი 3. სახელმწიფოს მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები მცირე საწარმოთა რეფორმირების პროცესში

3.1. მცირე საწარმოთა სახელმწიფო რეგულირება----------41

3.2.მცირე საწარმოთა როლი ეკონომიკის განვითარებაში----------56

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

1 თავი: მცირე საწარმოთა განვითარების ფინანსური პრობლემები

1.1 მცირე საწარმოთა განვითარების მდგომარეობა საქართველოში

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვაკუთხედია. მას გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, შემოსავლების დონის ამაღლების და სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

მცირე ბიზნესი განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის პირველი რიგის ამოცანაა საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, რაც მცირე საწარმოების ჩამოყალიბებით იწყება. მათი მეშვეობით მიიღწევა დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტუირება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა.

მცირე ბიზნესის შექმნას ჩვენს სინამდვილეში აქვს სპეციფიკური ხასიათი. თუ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ისინი წარმოადგენდნენ დიდი ფირმების ჩამოყალიბების საწყისს, გარდაქმნადი ეკონომიკის პირობებში ხშირ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიმდინარეობს მსხვილი მონოპოლისტი, არაეფექტური საწარმოების ეკონომიკური რყევებისა და ცვალებადი სიტუაციებისადმი უფრო ადაპტირებად, მცირე საწარმოებად რეორგანიზების პროცესი.

თავიანთი მოქნილობისა და დინამიურობის წყალობით მცირე საწარმოები სწრაფად რეაგირებენ მოთხოვნილების ცვლილებაზე და ამდენად, წარმოადგენენ

ინოვაციის წყაროს, ქმნიან დამატებით ბაზარს მსხვილი საწარმოების კუთვნილი მეორადი მოხმარების მანქანადანადგარების გასაღებისათვის, მეწარმეები იძენენ გამოცდილებას, რაც ასე აუცილებელია ეკონომიკაში ინდივიდუალური დანაზოგების და ინვესტიციების მოზიდვისათვის, კერძო სექტორის განვითარებისათვის.

საქართველოში მცირე საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინაღმდეგობრივ ხასიათს და მნიშვნელოვან სოციალურ ეკონომიკურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია მრავალი გლობალური მიზეზით, რომელთაგან ძირითადია: ბაზრის არასრულყოფილება, საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ბიუროკრატიზმი და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ არახელსაყრელი გარემოს შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ პატარა ფირმები ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის დემონტაჟის მიმდინარე პროცესში. კერძოდ, ისინი განიცდიან ზეწოლას მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან. მცირე საწარმოები ვერ უწევენ მათ ჯეროვან კონკურენციას დანახარჯების მაღალი დონის გამო.

ათწლეულების განმავლობაში კერძო ეკონომიკური საქმიანობის სისტემატიური შეზღუდვის შედეგად, სამეწარმეო ტალანტის მქონე ინდივიდების უმრავლესობა აღმოჩნდა არასათანადოდ მომზადებული. მათ აკლიათ გამოცდილება, პროფესიული ორიენტაცია და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია - ერთობ მწირია მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების მოცულობა.

აღნიშნულ პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას მცირე და საშუალო საწარმოთათვის „სათბურის პირობების“ შექმნა, მათი დაცვა ანტიკონკურენტული სტრუქტურების ზემოქმედებისაგან, პროტექციონიზმი მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ეს დარგი სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია. მათ მიერ კანონმდებლობით აღიარებულია მცირე და საშუალო საწარმოების

უმნიშვნელოვანესი როლი ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების საქმეში. საწარმოებს გაეწევათ სამთავრობო მხარდაჭერა საქმიანობის დაგეგმვის, კოორდინირების და საფინანსო რესურსების ფორმირების ხაზი.

მცირე ბიზნესის ჩამოყალიბება და მსბ-ის განვითარება უნდა დავუქვემდებაროთ სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, მეურნეობის დარგთა და რეგიონების პროპორციული დაბალანსებული განვითარება. არსებითად სწორედ ასეთი მიდგომის და რეგულირების შესაბამისი მექანიზმების დეფიციტმა განაპირობა ჩამორჩენა და ღრმა დისპროპორციები ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურაში. კერძოდ, საწარმოთა თითქმის ნახევარი მოდის ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტზე მაშინ, როდესაც წარმოებული პროდუქციის და მომსახურების საერთო მოცულობაში მათი წილი მხოლოდ 14 პროცენტია.

მცირესაწარმოებმა ვერ მოიკიდეს ფეხი სოციალური მომსახურების ხაზით. არ იგრძნობა მათი როლი სოფლის მეურნეობის, თევზჭერის, სამთომომპოვებელი მრეწველობის და ენერგეტიკის სფეროებში.

ნაკლებად ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს პირობებში მცირე და საშუალო საწარმოთა შექმნა და ფუნქციონირება სტიმულირებულია ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა საშუამავლო კომერცია (ფინანსური შუამავლობის გარდა), სასტუმროები და რესტორნები, კავშირგაბმულობა და სხვა.

მს-ის განვითარებას აფერხებს არასტაბილური საფინანსო სიტუაცია, რაც ურთულესი მაკროეკონომიკური პრობლემაა და გულისხმობს, პირველ რიგში, საბიუჯეტო დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას, მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ურთიერთობის გაუმჯობესებას მეწარმე სუბიექტებს შორის და გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილიზაციას

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, აგრეთვე, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და რესტრუქურიზაციის დასრულება, რასაც უნდა მოჰყვეს ბაზრების გამჭირვალეობა.

გამჭვირვალე უნდა იყოს, აგრეთვე, მაკროეკონომიკური ღონისძიებები, სტატისტიკა, საბანკო სისტემა და სამეწარმეო კანონმდებლობა.

მს-ის რეგიონალურ სტრუქტურაში გამოიკვეთება საწარმოთა კონცენტრაცია დედაქალაქში, რაც ზემოაღნიშნული ტენდენციების მსგავსად განსაკუთრებითაა დამახასიათებელი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მქონე რეგიონები (აჭარის ა.რ., იმერეთის მხარე, ქვემო ქართლის მხარე და სხვ.) ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის, რაც შესაბამის მაჩვენებელთა შედარებით მაღალ დონეში გამოიხატება.(ეკატერინე გობეჯიშვილი-ნაშრომი)

1.2 საქმიანობის ანალიზი,როგორც საწარმოთა მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველი

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომლებიც უშუალოდ და მინიმალური დანახარჯებით ტრანსფორმირდება მატერიალურ და შრომით რესურსებად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ფინანსური რესურსების გონივრული მართვა. ნებისმიერი საწარმო თავისი საქმიანობის პროცესში აუცილებლად განსაზღვრავს იმ აქტივების ოპტიმალურ ოდენობას, რომელიც მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის არის საჭირო, ამ აქტივების ფორმირების წყაროებს და მათ ოპტიმალურ შედგენილობას, ფინანსური საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიულ მართვას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი. კერძოდ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

ფინანსური მდგომარეობა საწარმოს ფინანსური, მიმდინარე საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებელთა ერთობლიობაა, რომელიც ასახავს საწარმოს რესურსების ფაქტიურ ოდენობას, მათ განთავსებასა და გამოყენებას. ფინანსური მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება საწარმოს უნარი, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. ამრიგად, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი უზრუნველყოფა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით, ამ რესურსების განთავსების მიზანშეწონილობა და გამოყენების ეფექტიანობა, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობა,

გადახდისუნარიანობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მისი ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებით, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის შეფასების, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებით, საწარმოს ბალანსის სტრუქტურის ანალიზით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი(მყარი), არამდგრადი და კრიზისული. თუ სააწარმოს აქვს უნარი, დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა გაფართოებული მასშტაბით, მას მყარი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაზე. თუ საწარმოს მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები წარმატებით სრულდება, ეს განაპირობებს საწარმოს კარგ ფინანსურ მდგომარეობას და პირიქით, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობისას მცირდება რეალიზაციიდან ამონაგები და შესაბამისად მოგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

მყარი ფინანსური მდგომარეობა თავის მხრივ დადებითად მოქმედებს ბიზნეს გეგმით განსაზღვრული საწარმოო პროგრამის შესრულებასა და საჭირო რესურსებზე საწარმოს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების ოპტიმალური ოდენობით მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფის, საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვის, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენისა და უფრო ეფექტიანი გამოყენებისაკენ.

ფინანსური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება - სად, როდის და როგორ გამოიყენოს საწარმომ ფინანსური რესურსები წარმოების ეფექტიანი განვითარების და მაქსიმალური მოგების მისაღებად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს გაკოტრების თავიდან აცილებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფინანსების გონივრული მართვა, კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა, საკუთარი და ნასესხები წყაროების

ოპტიმალური ხვედრითი წილის დადგენა. ამისათვის საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ისეთი კატეგორიების შესწავლა, როგორიცაა: საწარმოს საქმიანი აქტივობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, საწარმოს კრედიტუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, უსაფრთხოება, რისკის ხარისხი. ამ საკითხების შესწავლა შესაძლებელია ფინანსური ანალიზის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, და მისი შედეგების საფუძველზე ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის, ასევე სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებათა მისაღებად. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება კრედიტორებსა და ინვესტორებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სამომავლო დაინტერესების პროგნოზები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები ასევე აუცილებელია კომპანიის მენეჯერებისათვის, მმართველი რგოლებისათვის და აქციონერებისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აქციონერებს, სამთავრობო ორგანიზაციებს, საგადასახადო ინსპექციებს, სახელისუფლებო ორგანოებს, კრედიტორებს აქვთ თავიანთი დამოკიდებულება კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, ხოლო მენეჯერებს აქვთ პასუხისმგებლობა, უპასუხონ მანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ყოველი დაინტერესებული მხარისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანალიზით ვლინდება ის ფაქტორები და პრობლემები, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობა. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას განისაზღვროს კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია სათანადო სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი მეთოდიკის გამოყენება. სიტყვა სტრატეგია ბერძნული სტრატეგია-დან წარმოიშვა, რაც მხედართმთავრის ხელოვნებას ნიშნავს.

ზოგადი გაგებით სტრატეგია წარმოადგენს გრძელვადიან პროგნოზებზე დამყარებული დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ხელოვნებას. იგი რთული მიზნების მიღწევის ხერხია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანუ სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება დასახული მიზნების მიღწევის საშუალებათა გამოყენების ხერხი, რომელსაც თან ახლავს გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო წესების ნაკრები და შეზღუდვები.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს სტრატეგიის ორი განსხვავებული განმარტება.

პირველი განმარტების თანახმად, სტრატეგია არის ზოგიერთი მიზნის მიღწევის კონკრეტული გრძელვადიანი გეგმა. სტრატეგიის შემუშავება კი არის მიზნის ძიების და გრძელვადიანი გეგმის შედგენის პროცესი.

მეორე განმარტების თანახმად, სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება საწარმოს განვითარების ხარისხობრივად განსაზღვრული მიმართულება, ანუ სტრატეგია ხასიათდება, როგორც საქმიანობის არჩეული მიმართულება, რომელმაც საწარმო შეიძლება მიიყვანოს მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევამდე.

რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიას, ჩვენის აზრით ეს არის ზოგადი კონცეფცია საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, საწარმოს მდგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენის, ფინანსური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვისა და ამისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური განაწილების შესახებ.

ჩვეულებრივ, სტრატეგია შემუშავდება წინასწარ, კონკრეტდება პროექტებსა, პროგრამებსა და პრაქტიკულ მოქმედებებში და რეალიზდება მისი შესრულების პროცესში. სტრატეგიის ხშირად შეცვლა და კორექტირება არ ხდება, ამიტომ მის ფორმულირებას ზოგადი სახით ახდენენ. ამავე დროს, ზოგჯერ ჩნდება ახალი გაუთვალისწინებელი გარემოებანი, რომელიც ვერ თავსდება სტრატეგიის პირვანდელ კონცეფციაში. ამ გარემოებებმა შეიძლება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებით შექმნან განვითარების ახალი პერსპექტივები, ან პირიქით, გათვალისწინებულ პოლიტიკასა და მოქმედებათა გეგმაზე უარყოფითი გავლენა იქონიონ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირვანდელი სტრატეგია არარეალიზებული

ხდება და საწარმო გადადის გადაუდებელი სტრატეგიული ამოცანების განხილვასა და ფორმულირებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია საშუალებას იძლევა მოხდეს ძალების კონცენტრირება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტების მიღებაზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება დასახულ მიზნებს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დასრულებისა და დასკვნების გაკეთების შემდეგ, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია, როგორც მიმართულება და მიზნის მიღწევის საშუალება წყვეტს თავის არსებობას. ახალი მიზნების დასახვა დღის წესრიგში აყენებს ახალი სტრატეგიის შემუშავების საკითხს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდი და ხერხები ტაქტიკას წარმოადგენს. ტაქტიკის ამოცანაა ოპტიმალური გადაწყვეტილებებისა და მოცემულ საწარმოსა და მოცემულ სიტუაციაში მისაღები მეთოდისა და ხერხების შერჩევა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში ფინანსური ანალიზის სამსახურის ყოველი დონე ახდენს განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას და ანხორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. გადამწყვეტ როლს ფინანსური ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი ასრულებს. მისი საქმიანობა სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში შეიძლება შემდეგი ეტაპების სახით იქნეს წარდგენილი:

- საწარმოს თავისებურებათა, მიზნებისა და შემუშავებული სტრატეგის სიღრმისეული შესწავლა. სტრატეგიული გეგმის იდეების და მიზნების არსის ანალიზის სამსახურის თანამშრომლებამდე დაყვანა სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში მათი ჩართვისა და პირობების მომზადების მიზნით;
- ანალიზის ჩამტარებელთა რესურსების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება. რესურსების შეფასება და განაწილება. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- აუცილებელი ცვლილებების შეტანა, რომელთა გარეშე არ შეიძლება სტრატეგიის რეალიზაცია;
- სტრატეგიული გეგმის კორექტირება იმ შემთხვევაში, თუ ამას ახლადშექმნილი გარემოებანი მოითხოვს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ატარებს ეკონომიკური ანალიზის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებული და

კვალიფიციური ჯგუფი, დამოუკიდებელი აუდიტორი, დაქირავებული კონსულტანტი, ან ფინანსური ანალიტიკოსი. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძალზე კომპლექსურია და მას გარკვეული სირთულეები შეიძლება ახლდეს. კერძოდ:

• შესასწავლი საკითხების სიმრავლე;

•ფინანსური ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები; ანალიზი მით უფრო კომპლექსურია, რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია. თუ ინფორ¬ თუ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, უნდა მოინახოს ალტერნატიული ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების გზები;

•ფინანსურ მდგომარეობაზე სოციალ-ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენის დადგენა, რომელსაც მოდელირებას უწოდებენ და საკმაოდ რთული პროცესია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მთავარი მიზანია შეფასდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნა, შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებანი საწარმოს საქმიანობის სრულყოფისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ამ მთავარი და რთული მიზნის მისაღწევად კი ანალიზის პროცესში თანმიმდევრულად ხდება სპეციფიური მიზნების გამოყოფა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება ზოგადი კონცეფცია, იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა საწარმოს მიზნები, წყდება მის წინაშე მდგარი პრობლემები და ნაწილდება ამისათვის აუცილებელი შეზღუდული რესურსები. მიზნების სისტემა გულისხმობს ზოგად, რთულ მიზნებს და სპეციფიურ მიზნებს.

ფინანსური ანალიზის წარმატების აუცილებელ პირობად სპეციალისტები მიიჩნევენ მის შესაბამისობას საწარმოს წინაშე დასახულ მიზნებთან. ამ მიზნებიდან გამომდინარე გამოიყოფა პრიორიტეტული მიმართულებები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სპეციფიურ მიზნებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:

• მომგებიანობა - ანუ უნარი, მიიღოს შემოსავალი და შეინარჩუნოს ზრდის ტემპი, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;

• გადახდისუნარიანობა - კრედიტორების წინაშე გრძელვადიან პერიოდში ვალდებულებების დაფარვის უნარი, ანუ კომპანიის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი;

• ლიკვიდურობა - აქტივების ფულად ქცევის უნარი;

• მდგრადობა - იმიჯი ინვესტორებისა და კრედიტორების წინაშე, მისი სიცოცხლისუნარიანობა;

• საწარმოს ფუნქციონირების სამეურნეო-საფინანსო პერსპექტივები, კერძოდ, გასაღების ბაზარზე პოზიციების განმტკიცება და ახალი ბაზრების ათვისება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, პერსონალის მოტივაციის ამაღლება.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, რაც საწარმოს წარმატებების საწინდარია. ასეთი სტრატეგიის არ არსებობისას დაბალია დასახული მიზნების მიღწევის ალბათობა.

დასახული მიზნების მიღწევის შემდეგ აუცილებლად უნდა შეფასდეს, მათი მიღწევის დონე და ხარისხი, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთერთი სპეციფიკური მიზანია ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობის დონის ამაღლება. ამ მიზნის მიღწევა კი აუცილებლად საჭიროებს სტრატეგიის შემდეგ მიმართულებებს:

•ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მარკეტინგში, ფასების პოლიტიკაში ცვლილებების გატარება, გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, გაყიდვების მოცულობის გაზრდის მიზნით;

• არამწარმოებლური ხარჯების შემცირება;

• აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

• დებიტორული დავალიანებების ამოღების ვადის და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადის დაჩქარება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სათანადო სტრატეგია საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული არაეფექტური ფინანსური გადაწყვეტილებები, რამაც შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოს

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საბოლოო მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ამ რესურსების განთავსების მიზანშეწონილობის, გამოყენების ეფექტიანობის, მდგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენა. ამ მიზნის მისაღწევად კი ჩვენის აზრით მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიის შემდეგი ძირითადი მიმართულებების გამოყოფა:

•ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების შერჩევა და მათი მნიშვნელობის დასაბუთება;

• ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის შერჩევა და მომზადება;

• ანალიზის ჩამტარებელი კვალიფიციური კადრების შერჩევა;

სტრატეგიის შემუშავების შემდეგ უნდა შეირჩეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის, მოცემულ საწარმოსა და მოცემულ სიტუაციაში მისაღები, კონკრეტული მეთოდი და ხერხები, ანუ ტაქტიკა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში შეისწავლება საწარმოს საქმიანობის შინაარსი და ურთიერთდამოკიდებულება პარტნიორებთან, მიმდინარე წლის ფაქტიური მონაცემების ცვლილება წინა წლების მონაცემებთან შედარებით. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი არ შემოიფარგლება ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ანალიზით. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს საშუალებას აძლევს მოახდინოს რაციონალური მოლოდინის ჩამოყალიბება მომავალ ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, ინვესტიციებისა და ფულადი ნაკადების მიმოქცევის შესახებ. ამ პროცესში ანალიტიკოსი აყალიბებს თავის პოზიციას აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში, იღებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ან იძლევა რეკომენდაციებს მათ განსახორციელებლად, რითაც ხელს უწყობს კაპიტალის ეფექტიანად განთავსებას.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი რაციონალური დაგეგმვისა და მომავალი შემოსავლების განსაზღვრის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში გამოიყენება მიმდინარე და გასული პერიოდის ინფორმაციები, რათა უკეთ შეფასდეს მომავალი. ანალიზის პროცესში უნდა შეირჩეს შესაბამისი ინფორმაცია და მოხდეს მისი ინტერპრეტაციის ანალიზი, რათა მიიღოს

ხელსაყრელი გადაწყვეტილება მიმდინარე და მომავალი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ინფორმაციის შერჩევისას განისაზღვრება ინფორმაციის ტიპი და რაოდენობა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის ხარისხს, რათა მოხდეს მიღებული ინფორმაციის შედარება რეალურთან.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგ უნდა შემუშავდეს პროგრამა, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

•დასახული მიზნების მისაღწევად ანალიზის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა;

• ანალიზის საინფორმაციო ბაზის განსაზღვრა;

• სათანადო მაჩვენებლებისა და მათზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის ანალიზი;

•განსაკუთრებული ცვლილებების გამოვლენისას გადაწყვეტილებების მისაღებად კრიტერიუმების შერჩევა.

სამეურნეო საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე საწარმოებს განსხვავებული ეკონომიკური მოთხოვნები გააჩნიათ, რომელთა დაკმაყოფილებისათვის მათ სხვადასხვა სახის ეკონომიკური ინფორმაცია სჭირდებათ. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე ხდება ინფორმაციის მიღების მიზნის ფორმირება, რომელიც სხვადასხვა საწარმოებში განსხვავებულია. მაგალითად, მომწოდებლებს სჭირდებათ ინფორმაცია მიწოდებული საქონლის ღირებულების თავისდროული გადახდის, მყიდველებს - საქონლის დროული მიწოდების, საკრედიტო დაწესებულებებს - საწარმოს გადახდიუნარიანობის, საგადასახადო სამსახურებს - ბიუჯეტში გადასახადების დროული გადახდის, აქციონერებს - აქციების ფასისა და დივიდენდების გაცემის წესის შესახებ.

ამრიგად, კონტრაგენტების ძალზე დიდი რიცხვია დაინტერესებული საწარმოს საქმიანობის შეფასებით. აქედან გამომდინარე, ანალიზის სიღრმე, ანალიზური დასკვნების ობიექტურობა და უტყუარობა მიიღწევა მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვებით და დამუშავებით.

ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ, მისი იმიჯი, ძალიან დიდ როლს ასრულებენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ნებისმიერი საწარმო, რომელიც დაინტერესებულია წარმატებული განვითარებით, თავისი

საქმიანობის დაგეგმვისას იყენებს ჩატარებული ფინანსური ანალიზის შედეგებს. ამავე დროს ჩატარებული ანალიზი ვერ იძლევა სამეურნეო საქმიანობის ყველა შემთხვევისათვის ერთ რეცეპტს, მაგრამ საშუალებას იძლევა ვიწავლოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ამიტომ, მართვის საბაზრო მექანიზმებისა და მეთოდების ადექვატური განვითარებისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს უტყუარი და გამჭვირვალე ინფორმაცია.

ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება მოწესრიგებული ცნობები მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ, რაიმე წესით მომზადებულ მონაცემთა ერთობლიობა. საწარმოს საქმიანობის ანალიზისათვის გამოიყენება: სამეცნიერო-ტექნიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ინფორმაცია.

ანალიზის მონაცემთა წყაროები იყოფა: გეგმურ, სააღრიცხვო და არასააღრიცხვო მონაცემთა წყაროებად.

გეგმურ მონაცემთა წყაროებს მიეკუთვნება საწარმოში შემუშავებული ყველა ტიპის გეგმები (პერსპექტიული, მიმდინარე, ოპერატიული), ნორმატიული მასალები, ხარჯთანუსხები, საპროექტო დავალებები და სხვა.

სააღრიცხვო წყაროებს მიეკუთვნება: ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშგების, ოპერატიული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემები.

არასააღრიცხვო წყაროებს მიეკუთვნება: ოფიციალური დოკუმენტები: კანონები, დადგენილებები, ბრძანებები, სამეურნეო-სამართლებრივი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, სასამართლოს გადაწყვეტილებები); ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან (ინტერნეტი, ტელევიზია, მასმედია) მოპოვებული მოწინავე გამოცდილების შესწავლის მასალები, ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, ზეპირი ინფორმაცია რომელიც მიღებულია საწარმოს თანამშრომლებთან ან სხვა საწარმოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.

ჩამოთვლილი მონაცემთა წყაროების კომპლექსური გამოყენება ეკონომიკური ანალიზის პროცესში საწარმოს საქმიანობის ყოველმხრივი შესწავლისა და მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეზერვების სრულად გამოვლენის საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებულ როლს ინფორმაციულ უზრუნველყოფაში ასრულებს ბუღალტრული, ოპერატიული და სტატისტიკური ანგარიშგება. ყველაზე ხელმისაწვდომ და კომპაქტურ ინფორმაციას ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები.

ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის თავისებურ "მომენტალურ სურათს" საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ხშირად ბალანსის ანალიზს უწოდებენ. ფინანსური მდგომარეობის ღრმა ანალიზი ყოველთვის გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტების და ასევე მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა გამოყენებას, მაგრამ ბუღალტრულ ბალანსს მაინც გადამწყვეტი როლი ენიჭება.

ბუღალტრულ ბალანსში ფიქსირდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საშუალებების მდგომარეობას და შედგენილობას, მათი წარმოქმნის წყაროებს. წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის წარმოდგენილი ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა მაჩვენებელთა შედარების გზით განვსაზღვროთ მათი ზრდა ან შემცირება. მაგრამ ბალანსში მხოლოდ ნაშთების ასახვა საშუალებას არ იძლევა მაჩვენებლების შედარების გზით პასუხი გაეცეს მფლობელებისა და სხვა დაინტერესებული პირების ყველა მოთხოვნას. სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, არა მარტო ნაშთების, არამედ სამეურნეო საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობის შესახებ, მიიღწევა ანალიზის პროცესში ფინანსური ანგარიშგების დანარჩენი კომპონენტების გამოყენების გზით. კერძოდ, სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების, სააღრიცხვო პოლიტიკისა და განმარტებითი შენიშვნების მონაცემების გამოყენებით.

ანგარიშგება არის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების დასკვნითი ელემენტი. ამდენად, ანგარიშგების შედგენისას დგინდება და შეფასდება საწარმოს საქმიანობის ყველა ასპექტი. ამასთან ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს აქვთ კომპლექსური ხასიათი, რადგანაც ისინი ასახავენ ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაციებს და მოვლენებს სხვადასხვა ასპექტში.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ხასიათი და ლოგიკა მჭიდრო კავშირშია ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურასთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბალანსის ფორმა განსაზღვრავს ანალიზის ლოგიკას და ამოცანებს. ბუღალტრული ბალანსი განზოგადოებულად ასახავს საწარმოს სამეურნეო საშუალებებს ფულადი შეფასებით, გარკვეული თარიღისათვის, დაჯგუფებულად, მათი შედგენილობის და ფორმირების წყაროების მიხედვით. ამიტომ ბუღალტრული ბალანსი, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, არსებითად პრაქტიკულად გამოყენებადი სისტემური მოდელია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სრული შემოსავლების ანგარიშგება, რომელიც დაზუსტებულ ინფორმაციას იძლევა საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან. მის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს ფულად ნაკადებში მომხდარი ცვლილებები, დროულად მოხდეს მათზე რეაგირება, ვითარების და პირობების შესაბამისად.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების მონაცემები იძლევა საშუალებას დადგინდეს წლის განმავლობაში კაპიტალის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, გრძელვადიანი აქტივების გადაფასების შედეგები, დივიდენდების ოდენობა.

ფინანსური ანალიზი, რომელიც მხოლოდ ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებს ემყარება, ექსპრეს-ანალიზის თვისებებს იძენს, ე.ი. ისეთი ანალიზის თვისებებს, რომელიც ტარდება საწარმოს ფარგლებს გარეთ მისი დაინტერესებული კონტრაგენტების, მესაკუთრეების ან სახელმწიფო ორგანოების მიერ. ასეთი ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია შეზღუდულია და ვერ იძლევა ფირმის წარმატების ან წარუმატებლობის საიდუმლოს გახსნის საშუალებას. ამავე დროს ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება ობიექტურად შეაფასონ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანი აქტივობა და რენტაბელობა იმ ინფორმაციის გამოუყენებლად, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, ანალიზის კლასიკურ მეთოდს უწოდებენ.

ფინანსური ანალიზისათვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს: ღია და დახურულ ინფორმაციად. ბუღალტრულ და სტატისტიკურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია სცილდება სამეურნეო ობიექტის ფარგლებს და წარმოადგენს ღია ინფორმაციას. ყოველი სამეურნეო სუბიექტი ახდენს გეგმური მონაცემების წყაროებთან თავისი მაჩვენებლების შესაბამისობის განსაზღვრას და ფინანსური საქმიანობის რეგულირებას.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს მომხმარებლისათვის სასარგებლო და საიმედო, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება დასაბუთებული საქმიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საანგარიშგებო ინფორმაციის ფორმირების პროცესში უნდა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ:

- დანახარჯების და სარგებლის ოპტიმალური თანაფარდობა. ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე გაწეული დანახარჯები გონივრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ სარგებელს, რომელსაც საწარმო იღებს ამ მონაცემების დაინტერესებული მომხმარებლისათვის წარდგენიდან;
- სიფრთხილის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების შედგენისას - 24 - დაუშვებელია აქტივების და მოგების გადაჭარბებული შეფასება და ვალდებულებათა შემცირებული ოდენობით ასახვა;
- კონფიდენციალობიდან გამომდინარე, სააღრიცხვო ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომელთაც შეუძლიათ ზარალი მიაყენონ საწარმოს კონკურენტულ პოზიციას.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზი და მისგან გამომდინარე დასკვნა საწარმოს საქმიანობის შესახებ სრულყოფილი რომ იყოს, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომლებიც აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს აღქმადი (2), შესაბამისი, საიმედო და შესადარისი. ანალიზის ჩამტარებლებისათვის ფინანსური ინფორმაცია მაშინ არის საიმედო, თუ ის ნეიტრალურად, მიკერძოების გარეშე ასახავს საწარმოს საქმიანობას, შინაარსით ფორმაზე აღმატებულია, სამართლიანად არის წარმოდგენილი, დროულია და სრული. ფინანსური

ანგარიშგება, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და მის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები, ასვე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შემოთავაზებული რეკომენდაციები სასარგებლო ეფექტის მომტანია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ანალიზის შედეგების ობიექტურობა დამოკიდებულია ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების სიზუსტეზე, ხოლო ამ მაჩვენებელთა დინამიკის ანალიზი დაუშვებელია მაჩვენებელთა შესადარისობის გარეშე. აღნიშნულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკას. თუ საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას და საანალიზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა განსხვავებული მეთოდები თავისთავად ცხადია, მაჩვენებელთა შესადარისობის პრობლემა იქმნება. ეს გამოიწვევს განსხვავებას:

- გრძელვადიანი აქტივების ნარჩენ ღირებულებაში ამორტიზაციის გაანგარიშების მეთოდის და ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებისას;
- ნედლეულისა და მასალების, მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის თვითღირებულებაში, თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდის შეცვლისას;
- ნეტო-დებიტორული დავალიანებების ოდენობაში, საეჭვო ვალების რეზერვის გაანგარიშების მეთოდის შეცვლისას;
- საკუთარი კაპიტალის სიდიდეში, აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდების შეცვლისას;
- შემოსავლებისა და ხარჯების სიდიდეში, მათი აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესის შეცვლიდან გამომდინარე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება მრავალი ფაქტორის შესახებ, რომელთაგან ზოგი თვით საწარმოზეა დამოკიდებული, ზოგი კი მისგან დამოუკიდებელია. საწარმოსგან დამოუკიდებელ ფაქტორებს მიეკუთვნება ქვეყნის მაკროეკონომიკური სიტუაცია და ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი. კერძოდ, მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე და დინამიკა, სამომხმარებლო ფქასების ინდექსი, ფასები სამრეწველო პროდუქციაზე,

ვალუტის კურსის დინამიკა და ა.შ. ამ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სამთავრობო პროგრამები და პროგნოზები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის შედეგები, დამოუკიდებელი ანალიტიკური

სააგენტოებისა და პერიოდული პრესის მონაცემები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში აუცილებელია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლისადმი სისტემური მიდგომის უზრუნველყოფა, ასეთი მიდგომა საანალიზო ობიექტის მთლიანობის გახსნისა და მასში არსებული მრავალმხრივი კავშირების გამოვლენისა და შესწავლის საშუალებას იძლევა. ანალიზური ცხრილები კომპაქტურად უნდა აიგოს, რათა მასში ასახული ინფორმაცია სრულად ახასიათებდეს საანალიზო მაჩვენებლებს.

ანალიზის შედეგები აუცილებლად კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი. ასეთი მიდგომა საწარმოში მიმდინარე პროცესების, საწარმოს მიერ ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შეფასების, მაჩვენებლებსა და სამეურნეო პროცესებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ანალიზის შედეგები ფორმდება დასკვნის სახით, რომელშიც ცალკე გამოიყოფა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების წინადადებანი და რეკომენდაციები. დასკვნები და წინადადებები ემყარება ჩატარებული ფაქტორული ანალიზის შედეგებს და მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც მიმართულია ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და არსებული შესაძლებლობებისა და რეზერვების მობილიზაციისაკენ. (nplg.gov.ge)

2 თავი:მცირე საწარმოთა დაფინანსების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში

2.1. მცირე საწარმოთა განვითარების ტენდენციები საზღვარგარეთის ქვეყნებში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თემა ძალზე აქტუალურია საქართველოში არსებული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში. მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნებისმიერ ქვეყანაში: იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელსა და მომსახურებას და აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს.

ბოლო წლებში არაერთი ქართველი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომი გამოიცა ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა ღონისძიებებს მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. მოიკოჭლებს სახელმწიფო დახმარებაც მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ სასარგებლო იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობაზე და მოგვეხდინა მათი ანალიზი. მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირებისა და მხარდაჭერის საზღვარგარეთული

გამოცდილების შესწავლა და ანალიზი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს დაეხმარება მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამების შემუშავებაში

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სერიოზული ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ: ადგენენ და ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს და უწესებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკათა სტრუქტურას და ეფექტიანობას განაპირობებს მცირე ბიზნესის პროფესიული დონე და სოციალური აქტივობა, მისი უნარი, განავითაროს ეკონომიკის ინოვაციური სექტორი. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ.

მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. აღნიშნული საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას.

ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა მეტალურგიულ წარმოებაში (ბელგია), ნავთობკონცერნებში (ესპანეთი), აგროსამრეწველო კომპლექსში (ჰოლანდია, დანია), ფარმაცევტულ წარმოებასა და ხის დამუშავებაში (შვედეთი), საავტომობილო წარმოებაში (გერმანია), საათების წარმოებაში (შვეიცარია) არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის

მასშტაბების შეზღუდვა, რამდენადაც მათ სიცოცხლისუნარიანობის არნახული უნარი გამოავლინეს.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ამიტომ, როცა მივმართავთ ციფრობრივი მაჩვენებლებით ოპერირებას და განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინება.

განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე.

აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნებიან სამეურნეო სუბიექტები, რომლებშიც დასაქმებულია არაუმეტეს 500 ადამიანისა. ყველა მცირე და საშუალო საწარმო აშშ-ში იყოფა 3 კატეგორიად:

1. მიკროსაწარმოები - ფირმები, სადაც თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს;
2. მცირე საწარმოები - 20-დან 100 კაცამდე;
3. საშუალო საწარმოები - 100-დან 499 კაცამდე;

გარდა ამისა, ცალკე შეიძლება გამოიყოს საწარმოები, სადაც გამოიყენება დაქირავებული მუშახელი და საწარმოები, სადაც ფირმის მეპატრონეს არ ესაჭიროება მუშახელის დაქირავება.

აშშ-ში ყოველწლიურად რეგისტრირდება 600 ათასი მცირე საწარმო, 500 ათასი კი ლიკვიდირდება. ეს არავის აკვირვებს, რადგან მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეები მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის დინამიკაზე. ხვდებიან რა, რომ სხვა სფეროში და სხვა ადგილზე მათი საქმეები უკეთ წავა, მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეებს ძველი ბიზნესის დატოვება და ახლის წამოწყება ურჩევნიათ. ამერიკელები ამ მხრივ საკმაოდ ადაპტირებული არიან და სწრაფად გადაწყობა შეუძლიათ. თუნდაც მათი ბიზნესი კრახით დამთავრდეს, ენთუზიაზმს არ კარგავენ და ძველი ბიზნესის დასასრულს ახლის დასაწყისად აღიქვამენ. სავარაუდოა, რომ ამ ფსიქოლოგიურ ფენომენში იმალება მთელი ამერიკული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო.

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის ათვისებაში: აშშ-ში გამოგონებათა ძირითადი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო სპეციალიზირებული ფირმების წილად მოდის. თვითმფრინავების, ვერტმფრენების, კონდინციონერების, პერსონალური კომპიუტერების და სხვა პროდუქციის წარმოება თავდაპირველად მცირე და საშუალო საწარმოებში დაიწყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ფილოსოფია და პრინციპი ქვეყანაში, რომელიც ტრადიციულად ითვლება „კაპიტალიზმის დასაყრდენად", არახალია. იგი გაცილებით ადრე, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა.

აშშ-ში მცირე ბიზნესზე ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათები. ასეთია მაგალითად, "პირველი წლის ბონუსი", როცა გადასახადი გადაიხდება დასაბეგრი თანხის მხოლოდ ნახევარზე.3 ფედერალური გადასახადების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობების შემცირება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, სტიმულს იძლევა საშუალო საწარმოების გასახსნელად, აძლიერებს მათ პოზიციებს ამერიკის ეკონომიკაში, ეს კი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს.

ასევე ხორციელდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური სამთავრობო პროგრამა ეროვნული უმცირესობებისათვის, რასაც საფუძვლად უდევს კანონი „თანაბარი შესაძლებლობების შესახებ" და კანონი „საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ". 2007 წლისათვის 3 მილიონი მცირე საწარმო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. (წყარო ოთარ გოგიაშვილი დისერტაცია)

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებშიც მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, 2010 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ". დოკუმენტი გულისხმობს ადგილობრივი ბანკების დაფინანსების გაზრდას ბიზნესის კრედიტირების პროცესის აქტივაციისათვის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას კრედიტებზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და კერძო მეწარმებისათვის. იგი ასევე

ითვალისწინებს საგადასახადო კრედიტების გაცემის პრაქტიკის გაფართოებას და მეწარმეთა ზოგიერთი ჯგუფის ნაწილობრივ გათავისუფლებას საშემოსავლო გადასახადისაგან.

მცირე საწარმოთა სრულყოფილად დაკმაყოფილების იდეამ ასახვა ჰპოვა „ინკუბატორული" პროგრამების ორგანიზაციაში, რომელთა მიზანია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა. იმ მეწარმეების დახმარება, რომლებსაც სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ თავიანთი საქმის წამოწყება. მეცნიერებს, ანალიტიკოსებს, პროგრამისტებს, ინჟინრებს, გამომგონებლებს, რომლებსაც სურთ მოაწყონ საკუთარი ბიზნესი ,,ინკუბატორში" ხელმისაწვდომი აქვთ ყველაფერი აუცილებელი საკუთარი იდეების სარეალიზაციოდ. ისინი სარგებლობენ არა მარტო საწარმოო შენობებით, არამედ მოწყობილობით, ვენჩურული კაპიტალის (სარისკო) ფონდებით, სხვადასხვა სახის მომსახურებით. ამაში გამოიხატება „ინკუბატორების" განსხვავება ტრადიციული სამრეწველო პარკებისაგან, სადაც იჯარით სთავაზობენ მხოლოდ საწარმოო და ადმინისტრაციულ შენობებს, მინიმალური ბიზნეს ინფრასტრუქტურით. მომსახურების დაახლოებით 85%-ს ,,ინკუბატორები" ახორციელებენ მცირე ინოვაციურ ფირმებზე, რომლებიც შეიმუშავებენ პროდუქციისა და ტექნოლოგიების ახალ სახეებს. 80-იანი წლების შუა პერიოდში ,,ინკუბატორების" პროგრამების ორგანიზატორები გაერთიანდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ ასოციაციაში. „ინკუბატორები" არსებობენ შტატებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახსრებით, მთავრობის სუბსიდიებით, მეწარმეთა საიჯარო გადასახადებით და ა.შ.

ესპანეთში შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ბევრი პროგრამა. მათთვის, ვინც საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებს, შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე პროგრამები. მეწარმე პირველი ხუთი წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე შესაძლებლობა აქვს ბიზნესის გასაფართოებლად ისარგებლოს უვადო კრედიტით. ესპანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცირე საწარმოებს, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის: ქმნიან სამუშაო ადგილებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის (სტუდენტები, ქალები, იმიგრანტები და ა.შ.), ხელს უწყობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონების

წინსვლას. ესპანეთში სახელმწიფო მრავალ ორგანიზაციასა და ფონდს ახალისებს მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად (google.com)

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარ დადებით ფაქტორად ესპანეთში შეიძლება დავასახელოთ ბიუროკრატიის მინიმალური დონე. საწარმოს რეგისტრაცია და ლიცენზიის აღება განაცხადის შეტანიდან 24 საათში ხდება, ჩინოვნიკების მხრიდან ზედმეტ მოთხოვნათა გარეშე. ამასთან, ეს შეიძლება გააკეთოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქემაც. მინიმუმადეა დაყვანილი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქციები.

საფრანგეთში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხში შეიძლება გამოიყოს რიგი ნიუანსები. ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყანაში შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების სერიოზული სახელმწიფო სისტემა. ახალი მცირე საწარმოები ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოებების და ადგილობრივი გადასახადებისგან. მათთვის მცირდება საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი მოგების ინვესტირებადი ნაწილისაგან. სახელმწიფო განსაკუთრებით ლმობიერად ეპყრობა, ვინც საკუთარი ბიზნესის გახსნა ეკონომიკურად დეპრესიულ რეგიონებში განიზრახა. ასეთ მეწარმეებზე ვრცელდება შეღავათები ან საერთოდ თავისუფლდებიან სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში შესატანი გადასახადებისაგან (ჯანდაცვა, უმუშევართათვის განკუთვნილი დახმარებები, საპენსიო ფონდები, ფონდები მრავალშვილიანებისათვის). უმუშევართათვის, რომლებმაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს, მოქმედებს დახმარებების სპეციალური სისტემა. ისინი სამი წლით თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან და ერთი წელი არ იხდიან სავალდებულო სოციალურ შენატანებს სოცდაზღვევის ფონდებში. ასეთ მეწარმეებს გადაეცემათ სპეციალური წიგნაკები,

რომელთა მოსახევი ჩეკებით შეიძლება განხორციელდეს ანგარიშსწორება მენეჯმენტის, იურისპრუდენციის, საბუღალტრო აღრიცხვის და სხვა საკითხებზე. მცირე საწარმოების თითქმის ყველა მეპატრონეს შეუძლია ჰქონდეს შეღავათიანი კრედიტისა და სუბსიდიის იმედი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხელშეწყობა ითვალისწინებს მცირე ბიზნესისათვის დახმარების პროგრამებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ახალი და მომქმედი ფირმების კონსულტაციის პროგრამები;

- ფინანსური დახმარების განხორციელების პროგრამები;

- მცირე ფირმების საექსპერტო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამები;

- შოტლანდიაში, უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედებს მცირე ფირმების დახმარების რეგიონული პროგრამები.

გარდა იმ პროგრამებისა, რომლებს გააჩნიათ უნივერსალური მახასიათებლები, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ მცირე საწარმოების დახმარებას ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში (გარემოს დაცვა, სამეცნიერო კვლევები უახლეს დარგებში და ა.შ.). მაგ., მცირე საწარმოებს შორის ტარდება ყოველწლიური კონკურსი საუკეთესო კომერციული სტრატეგიის შემუშავებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაციის საკითხებში.

დიდი ბრიტანეთის მცირე საწარმოები გათავისუფლებული არიან მოგების გადასახადისაგან ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე მიმართულ სახსრებზე, აგრეთვე აქვთ შეღავათები დღგ გადახდისას და ქონების ადგილობრივ გადასახადზე. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათ. გირვანქა 75 სტერლინგს, საერთოდ არ ექვემდებარებიან რეგისტრაციას სამეფო სამსახურის საბაჟო და აქციზების ადგილობრივ განყოფილებებში დღგ ან აქციზის გადახდის მიზნით.

გარდა ამისა, მოგების გადასახადის პროგრესული სკალა, რომელიც მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, ყველაზე მეტად მოგებიანია უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ გადაწყვეტილებები მიიღება ფედერაციის, მიწების, საქალაქო თვითმმართველობებისა და თემების დონეზე. ბოლო პერიოდში ამ პროცესში ფართოდ მონაწილეობს ევროკომისია.

სახელმწიფო მმართველი ორგანოს განტვირთვის მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) მხარდაჭერის რიგი ფუნქციები გადაცემულია ზოგიერთ საზოგადოებრივ-სამართლებრივ ინსტიტუტზე, კერძოდ კი სპეციალიზებულ ბანკებზე და კერძო ბიზნესის თვითმარეგულირებელ ორგანიზაციებზე (მაგ., სავაჭრო-სამრეწველო პალატები).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა შეიცავს 500-ზე მეტ ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გამოიხატება ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებაში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებში, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელების და მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებაში.

გარდა ამისა, ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან (მაგ., რაციონალიზაცია, მოდერნიზაცია, გაფართოება, საწარმოს სიმძლავრეთა გაზრდა).

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები დაცულია სპეციალური კანონებით და სამართლებრივი აქტებით (ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დებულებები და საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული დოკუმენტები). მათი ნაწილი უკავშირდება ინვესტიციებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

გარდა ამისა, ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან (მაგ., რაციონალიზაცია, მოდერნიზაცია, გაფართოება, საწარმოს სიმძლავრეთა გაზრდა).

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები დაცულია სპეციალური კანონებით და სამართლებრივი აქტებით (ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დებულებები და საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული დოკუმენტები). მათი ნაწილი უკავშირდება ინვესტიციებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის ირიბი დახმარება: მოქმედებს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ათავისუფლებენ ამ კატეგორიის საწარმოებს საშემოსავლო გადასახადისაგან გარკვეულ ფარგლებში და მოქმედებს ამორტიზაციის განსაკუთრებული ნორმები წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირებისათვის).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის შემდეგი სახეები მოქმედებს:

- სახელმწიფო საინვესტიციო წანამატები ან სუბსიდიები, რომლებიც ძალზე იშვიათად გაიცემა დაბრუნების პირობით. მათ გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ინვესტიციების გეგმიური მოცულობა. წანამატები არ იბეგრება და გამოიყენება მოთხოვნის საფუძველზე. სუბსიდიები კი იბეგრება და მათი წარდგენა ხდება გამანაწილებელი ორგანოს მოთხოვნით;

- შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რომელიც ხშირდ გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე. შეღავათიან კრედიტებს უწოდებენ ფარულ ფინანსურ დახმარებას, რადგან ეს თანხა წარმოადგენს საბაზრო და შეღავათიან საკრედიტო განაკვეთებს შორის სხვაობას (საკრედიტო სუბსიდია).

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შეღავათიანი კრედიტების გაცემის დოტაციები შეადგენს თანხის 3-10%-ს. სპეციალიზებული ბანკების პროგრამების თანახმად, რომელთა დაფინანსება ხდება საკუთარი სახსრებით, საკრედიტო განაკვეთები მიახლოებულია საბაზრო განაკვეთებთან, ე.ი. კრედიტების ღირებულება მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე ფედერალურ ან მიწის პროგრამები.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა წარმოებს საერთო წესების მიხედვით, ე.ი. უპირატესობა არ ეძლევა არც ერთ განმცხადებელს და ყურადღება ექცევა მხოლოდ კრედიტუნარიანობას. კრედიტის მისაღებად განაცხადები წარედგინება გერმანულ კომერციულ ბანკებს, რომლებიც ახდენენ კრედიტების გაცემას და შემდგომში მუშაობენ კლიენტებთან.

ბიზნესის განვითარებისათვის ბელარუსის რესპუბლიკაში შექმნილია თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მოქმედებს სპეციალური საგადასახადო შეღავათები კომპანიებისათვის, რომლებიც პატარა ქალაქებსა და სოფლებში ფუნქციონირებენ.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში სახელმწიფო შეძლებისდაგვარად უწევდა დახმარებას მცირე და საშუალო ბიზნესს. კერძოდ, მიღებული იქნა ზომები საგადასახადო კანონმდებლობის გასამარტივებლად. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან მცირე მეწარმეებისათვის დახმარება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებმასშტაბური იყო.

აზერბაიჯანში 1990-ანი წლებიდან დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს რეგულირება. ამ პერიოდისათვის, მცირეს მიეკუთვნებოდა კომპანიები

არაუმეტეს 200 დასაქმებულისა მრეწველობაში, შესაბამისად, 100 დასაქმებულისა მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, 50 კაცისა საწარმო სფეროს სხვა დარგებში, 25 დასაქმებულისა არასაწარმო სფეროში და 15 კაცისა ვაჭრობაში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულია სამეწარმეო საქმიანობის უფლება ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ამჟამად აზერბაიჯანში მოქმედებს 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მცირე საწარმოს სტატუსს დასაქმებულთა საშუალოწლიური რიცხოვნობის და საშუალოწლიური ბრუნვის მიხედვით.

ამ კანონით, მცირე საწარმოს კონკრეტულ კრიტერიუმებს ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით, განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო.

კანონი განსაზღვრავს მხარდაჭერის შემდეგ მიმართულებებს:

ა) ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

ბ) მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების მომზადება და რეალიზება;

გ) მცირე საწარმოებისათვის შეღავათიანი პირობების განსაზღვრა საფინანსო, მატერიალური, სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების მისაღებად;

დ) მცირე საწარმოთა დახმარება კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით;

ე) რეგისტრაციისა და ანგარიშგების გამარტივებული სისტემების დაწესება; 81

ვ) საგარეო ურთიერთობებში მხარდაჭერის აღმოჩენა.

ზემოთ აღნიშნულ კანონთან ერთად, ამ მასშტაბების ბიზნესის რეგულირებაში მნიშვნელოვანია ასევე მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „მცირე ბიზნესის საინვესტიციო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს გადაუდებელ ღონისძიებათა სისტემას მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

აზერბაიჯანში დაფუძნებულია „მეწარმეობის მხარდაჭერის ფონდი“, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. ეს ფონდი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსურ უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ეხმარება დამწყებ ბიზნესს. ფონდის სახსრები ივსება ყველა დონის ბიუჯეტიდან, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების

პრივატიზებიდან, ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან და ფიზიკური თუ იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შენატანებიდან.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს სომხეთში არეგულირებს 2000 წელს მიღებული კანონი „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. იგი არ ვრცელდება საკრედიტო, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებზე, სათამაშო სახლებზე, ლომბარდებზე, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოღვაწე სუბიექტებზე. კანონი განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ ზომებს:

ა) უმცირესი - კომერციული ორგანიზაციები და ინდმეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება 5 კაცს;

ბ) მცირე - კომერციული ორგანიზაციები და ინდმეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება:

- მრეწველობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში - 50 კაცს;

- მშენებლობასა და ენერგეტიკაში, ასევე მეცნიერებასა და განათლებაში - 25 კაცს;

- ტრანსპორტში, ვაჭრობასა და მომსახურებაში 15 კაცს;

გ) საშუალო - კომერციული ორგანიზაციები და ინდმეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება: 82

- მრეწველობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში - 100 კაცს;

- მშენებლობასა და ენერგეტიკაში, ასევე მეცნიერებასა და განათლებაში - 50 კაცს;

- ტრანსპორტში, ვაჭრობასა და მომსახურებაში 30 კაცს;

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებებია: მასტიმულირებელი საკანონმდებლო გარემოს ფორმირება, ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, საფინანსო, საინვესტიციო საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა, რაციონალიზატორული საქმიანობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირება, კადრების მომზადება და გადამზადება, სახელმწიფო შესყიდვების მხარდაჭერა.

სომხეთში ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში მტკიცდება მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს

აღნიშნული კანონით განსაზღვრულ მიმართულებებს. მისი ანგარიშგება წარმოდგება სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ ანგარიშთან ერთად.

ბოლო პერიოდში შედგენილია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც მარტივდება ანგარიშგება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, უქმდება დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადები, ინერგება ბრუნვის გადასახადი (3,5%), თუმცა გამკაცრდება ჯარიმები და სანქციები.

ამჟამად სომხეთის ექსპორტის 15%-ს (250 მლნ. დოლარი) სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია შეადგენს.

ქვეყანაში შექმნილია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ცენტრი და სომხეთის განვითარების სააგენტო, რომლებიც ასევე ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

თავი 3. სახელმწიფოს მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები მცირე საწარმოთა რეფორმირების პროცესში.

3.1 მცირე საწარმოთა სახელმწიფო რეგულირება

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნეს-გარემო -მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება.

რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება:

საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ფორბსის 2009 წლის “Tax Misery and Reform Index”-ის მიხედვით საქართველო

მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა ყატარის, არაბთა გაერთიანებული ემირატებისა და ჰონგ-კონგის შემდეგ.ამჟამად, საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21 გადასახადისა.

საბაჟო პოლიტიკა: საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივ შეზღუდვები (ე.წ. ქვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ,2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე. (DCFTA-ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.)

ლიცენზიები და ნებართვები: ლიცენზიების და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად,2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა.ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ზოგიერთი სპეციფიური საქმიანობისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.

სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“.მომსახურების უმრავლესობის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. ამასთან, საქართველომ შექმნა უნიკალური სისტემა - იუსტიციის სახლები - მთელი ქვეყნის მასშტაბით. იუსტიციის სახლებში ერთ სივრცეში ხდება

დაახლოებით 400 დასახელების მომსახურების მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს, ისე კორუფციის რისკს.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო კორუფციის აღმოფხვრისთვის, მათ შორის, ეკონომიკის ლიბერალიზაცია (გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირება,საბაჟო პროცედურების გამარტივება), სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმა, სახელმწიფო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და კორუფციის მნიშვნელოვანმა შემცირებამ, ძირითადად,განაპირობა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილის შემცირება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში (დაუკვირვებადი გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში). 2004-2014 წლებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად - 32%-დან 12.9%-მდე არის შემცირებული.)

საერთაშორისო რეიტინგები: მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი კვლევის „Doing Business 2016“4 მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 189 ქვეყანას შორის 24-ე ადგილზეა. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით,„გლობალურად, ბოლო 12 წლის განმავლობაში, საქართველო ყველაზე მეტად გაუმჯობესდა ბიზნესის კეთების ანგარიშის მიხედვით შეფასებულ სფეროებში... 39 რეფორმის შედეგად,საქართველომ მიაღწია გაუმჯობესებას ათივე სფეროში, რომლებიც შედის აგრეგირებულ მაჩვენებელში... საქართველო გამორჩეული ქვეყანაა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში,ვინაიდან საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უკეთესი და უფრო ეფექტიანი ბიზნეს რეგულირების მიღწევის მიმართულებით“ (Doing Business 2016 გვერდი 14). წინა წელს,საქართველომ ორი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა: სამშენებლო ნებართვების სფეროში საქართველომ შეამცირა სამშენებლო ნებართვის მისაღებად საჭირო დრო, ხოლო კონტრაქტების აღსრულების სფეროში, გაამარტივა პროცესი სასამართლოში აპლიკაციის ელექტრონულად წარდგენის სისტემის შემოღების გზით. საქართველო კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას რამდენიმე სფეროში, როგორიცაა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რომლის მიხედვით საქართველო 101-ე ადგილზეა.

Heritage Foundation-ის 2016 წლის **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის** მიხედვით,საქართველო 178 ქვეყანას შორის 23-ე ადგილზეა და იმყოფება „უმეტესად თავისუფალი“ქვეყნების ჯგუფში. ამავე დროს, საქართველო მე-12 ადგილს იკავებს ევროპის ქვეყნებს შორის.საქართველოს კვლავ ესაჭიროება საკუთრების უფლებების დაცვის, ფინანსური დამოუკიდებლობის (უმაღლესი შეფასების მისაღწევად) და ზოგიერთი სხვა სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.

Fraser Institute-ის 2015 წლის **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის** მიხედვით, საქართველო 2003 წლიდან დაწინაურდა 50 საფეხურით და ამჟამად მე-12 ადგილზე იმყოფება. საქართველოს კვლავ ესაჭიროება გაუმჯობესება მთავრობის ხარჯების, კონტრაქტების აღსრულების და სხვა სფეროებში.

საქართველომ ასევე გააუმჯობესა სუვერენული რეიტინგები, რაც მნიშვნელოვანი დადებითი სიგნალია მეწარმეებისა და ინვესტორებისთვის. სამივე საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ -**Fitch-მა, Moody's-მა და Standard&Poor's**-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული რეიტინგები.ამჟამად საქართველოს აქვს “BB-” რეიტინგი Fitch-ის მიხედვით, “BB-“ რეიტინგი Standard&Poor’sის მიხედვით და “Ba3” რეიტინგი Moody’s მიხედვით.

მიუხედავად ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეები კვლავ აწყდებიან სირთულეებს განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით, რაც დასტურდება მათი ამჟამინდელი წილით ქვეყნის ეკონომიკაში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევით (მაგ: მსოფლიო ბანკის საწარმოების კვლევა 2013).

(წყარო:სტატისტიკის ეროვნული სამსახური:საქრთველოს ეროვნული ანგარიშები 2014. მსოფლიო ბანკი: 2016 წლის ბიზნესის კეთების ანგარიშში მსოფლიო ბანკმა შეცვალა მეთოდოლოგია - შემოღებულ იქნა რეიტინგის ახალი კალკულაცია,რომელიც ერთის მხრივ ეფუძნება საუკეთესო შედეგამდე დაშორებას, ხოლო მეორეს მხრივ გაიზარდა მოცვა და დაემატა რეგულირების ხარისხის ინდიკატორები. ჯამში დაემატა 3 ახალი ინდიკატორი, ხოლო 3 შეიცვალა. ამ ცვლილების გამო შეიცვალა საქართველოს პოზიცია 2015 წელს და თუ წინა წლის ანგარიშით 2015 წელს საქართველო იმყოფებოდა მე-15 ადგილზე, 2016 წლის განახლებული მეთოდოლოგიით საქართველო 2015 წელს 24-ე ადგილზე იყო.

3.2 მცირე საწარმოთა როლი ეკონომიკის განვითარებაში

მცირე ბიზნესის განვითარებაზე დღეს ბევრს საუბრობენ.მთავრობამ მისი განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტადაც დაისახა.საერთაშორისო და ადგილობრივმა ფონდებემა საქართველოში მცირე მეწარმეების დასახმარებლად ათეულობით მილიონი ლარი დახარჯეს.იმისთვის, რომ მოქალაქეებს ბიზნეს ინიციატივები გასჩენოდათ,მთავრობა მათ დაჰპირდა,რომ მცირე და საშუალო საწარმოები გადასახადებისგან გათავისუფლდებოდნენ.საქართველოში დამწყები ბიზნესისათვის წამახალისებელი საგადასახადო შეღავათები 2011 წლიდან ამოქმედდა.მთავრობამ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით, საგადასახოდო კოდექსში მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებები განსაზღვრა.თუმცა,როგორც ექსპერტები აღნიშნავენ,მიკრობიზნესის სტატუსის შემოღებაში რევოლიციური არაფერია,რადგან ამ კატეგორიის ბიზნესმენები გადასახადს ისედაც არ იხდიდნენ.

მიუხედავად ამ და სხვა ღონისძიებებისა,რომელსაც მთავრობა მცირე ბიზნესის განსავითარებლად ახორციელებსა,მცირე ბიზნესი საქართველოში დღითი-დღე უფრო მცირდება. არადა, დღეს, როცა უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, როდესაც ქვეყანას ძალიან სჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქცია და

მომსახურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესი და მისი განვითარება.მცირე ბიზნესი არის საშუალება იმისა, რომ ადამიანები დასაქმდნენ და ნაკლებად იყონ დამოკიდებულნი სახელმწიფო შემწეობაზე, სახელმწიფო დახმარებაზე.როდესაც ხალხს ექნება საკუთარი შემოსავალი, სახელმწიფოც მოიხსნის სოციალურ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით,ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.5 პროცენტით გაიზარდა და 22.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 9.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

2019 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 54.5% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.4% - საშუალოზე, ხოლო 28.1% - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3%, საშუალოზე - 24.8%,ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9%.

მცირე ბიზნესს, მსხვილ ბიზნესთან შედარებით,დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს როგორც მთლიანი ბრუნვის, ისეპროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაშ ი.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წლის I კვარტალში 14.4 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.3% მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 8.8 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.7% მეტი).

2019 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 663.8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.2% აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.3% ქალია, ხოლო 57.7% - კაცი.

როდესაც მთელი ეკონომიკური აქტიურობისა 80-85% მოდის მსხვილ ბიზნესზე,ეს იმას ნიშნავს,რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესი არ არის განვითარებული.

მცირე ბიზნესის წასახალისებლად საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა.მაგ ალითად, საგადახადო სისტემაში ფიქსირებული გადასახადის შემოღება,ისევე, როგო რც არის ამერიკაში, ნიდერლანდებში და ა.შ. ასევე, მცირებიზნესისთვის უფრო ხელ მისაწვდომი უნდა იყოს სესხების სახელმწიფოპროგრამები. მცირე და საშუალო საწარ მოებისთვის უნდა არსებობდეს პროგრამები, სადაც ისინი შეძლებენ დაბალ პროცენტიანი სესხის მიღებას. დღესასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე დათუნდაც საშუალო ბიზნესის განვითარებას. პირიქით , უფრო მეტად ხდებაპოლარიზება მსხვილ ბიზნესსა და მათ შორის, რადგან თუნდაც საბანკო სექტორშისაპროცენტო განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის, რომელთაც პატა რა მოცულობისსესხი ესჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი სესხები. ამ და ასევ ე სხვაფაქტორების გათვალსწინებით, პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯებმათ თვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპაიებისათვის. კიდევ ერთი გზამცირე ბიბ ზნესს განვითარებისთვის არის სახელმწიფო შესყიდვების პროგრამებში მისთვის პრიორიტეტის მინიჭება.

სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მცირე ბიზნესის განსავითარებლად ეკონომისტები აკრიტიკებენ და ამბობენ, რომ ბევრი ნაბიჯი ამ მიმართულებით არასწორად გადაიდგა. მათ შორის, ყველაზე აშკარა შეცდომად სახელდება იაფი კრედიტების პროგრამა, რომელმაც, ეკონომისტების შეფასებით, ვერ გაამართლა. მათ განმარტებით, არასწორია, როდესაც კრედიტს იძლევა სახელმწიფო.

უმჯობესი იქნებ, სახელმწიფო ნაკლებად ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მცირე ბიზნესს არ სჭირდება ფულის გამოყოფა. მას სჭირდება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც არ დაჩაგრავენ, სადაც საგადასახადო სამსახური ჩასაფრებულის პოლიტიკას არ განახორციელებს, სადაც ბანკები შედარებით ლოიალურები იქნებიან.

იმისთვის, რომ მცირე ბიზნესი განვითარდეს .

პირველი, სადაც შეიძლება წარმატებულად განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი, ეს არის სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, საოჯახო ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა. მცირე ბიზნესი არის საკმაოდ მომგებიანი სექტორი და ამან შეიძლება დიდი მოგება მოუტანოს ადამიანს.

ბიზნესის ხელშეწყობის ვარიანტები რამდენიმე ფაქტორისგან შედგება. პირველი, ეს არის ადმინისტრაციული ბარიერები, რომლის პრობლემაც საქართველოში არ

არსებობს. დღეისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაარსება სირთულეს არ წარმოადგენს. კომპანიის დარეგისტრირებისთვის საჭირო ვადები შემცირდა და ამჟამად 5,6 დღეს შეადგენს, რაც კანონით დადგენილ 5 დღეს ოდნავ აღემატება. გასულ თვეში რეგისტრირებული მეწარმე-სუბიექტების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა, ხოლო ბიზნეს აქტიურობის მთავარ მოტივადა ხალი საგადასახადო კოდექსი სახლდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2019 წლის თებერვლის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 501 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.3% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.7% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 1.028 დონეზე დაფიქსირდა. ა.წ. თებერვლის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (13.6%-ით), ისე წინა წლის იმავე თვესთან (2.6%-ით) შედარებით. 2019 წლის თებერვლის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 13.2%ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 30.4%-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 2.7%-ით გაიზარდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 4.0%-ით შემცირდა. ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 1.031 და 0.945 დონეებზე დაფიქსირდა. ა.წ. თებერვლის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 413 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 53.6%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 912 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 42.5%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 96.1% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში

დარეგისტრირდა: 119 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 21 სააქციო საზოგადოება, 19 კოოპერატივი, 15 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი და 1 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2019 წლის თებერვლის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.)

პრობლემები ამის შემდეგ იწყება. მაგალითად, კრედიტისადმი ხელმისაწვდომობა. ბიზნესის დაწყება საკუთარი ხარჯებით ძალიან რთულია. ამ დროს საპროცენტოგანაკ ვეთი მაღალია. იმდენად მაღალია, რომ მცირე ბიზნესი საკუთარი ხარჯებითკრედიტ ს ვერ იღებს.შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია საგადასახადო ადმინისტრირებას თან. ესყველაფერი, საბოლოო ჯამში, ადამიანებს აყოვნებს, რომ წამოიწყონ ბიზნესი. ა რის კიდევ ერთი პრობლემა, რომელშიც სახელმწიფო არ არის დამნაშავე. ეს არისმოს ახლეობის არაკრეატიულობა.ეკონომისტები თანხმდებიან, რომ სამი მთავარი საკითხ ი ჭრის ბიზნესისგანვითარების ამოცანას: მცირე მეწარმეობის წახალისება, მცირე მეწა რმეებისსწავლება და მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვაში. მაგალითად, მცირები ზნესს არ აქვს საშუალება დაიქირაოს კარგი ბუღალტერი, იურისტი, მენეჯერი,კვალი ფიციური კადრები, რისი საშუალებაც აქვს, თუნდაც, ბანკს. რადგან ესყველაფერი და კავშირებულია თანხებთან, კარგი იქნებოდა მცირე ბიზნესისთვისაღრიცხვა უფრო მა რტივი იყოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე საწარმოებისთვის.

თუ ხელისუფლება შეიმუშავებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთიან პროგრა მას და ამ სამ კომპონენტზე ააგებს, მას შეუძლია უკვე 3-5 წელიწადში მიიღოს 200000-მდე მცირე საწარმო, რომლებიც ერთობლივი პროდუქტის მინიმუმ 25-30% შექმნის.

ზოგი ამბობს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების ნაცვლად ჯობია, რომ ხელი შევუწყოთ მსხვილ ბიზნესს, რადგან ის ისედაც ძლიერია და ამით ბევრი ადამიანი დასაქმდება. ეკონომისტების აზრით, ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან მსხვილი ბიზნესის შესაძლებლობები შეზღუდულია და ვერ შეძლებს ხალხის დასაქმებას.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობა იმით არის უკეთესი, რომ მცირე ბიზნესის შემოსავლებით ხალხი პროდუქციას შეიძენს იმ ადამიანებისგან, ვინც ამპროდუქციას აწარმოებს მსხვილ ბიზნესში. როცა ვამბობთ, რომ მცირე ბიზნესს

ხელი უნდა შევუწყოთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესები უნდა განვითარდეს მსხვილი ბიზნესის შევიწროების ხარჯზე.

ევროპაში ძალიან მაღალია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლები უფრო თანაბრად არის გადანაწილებული ადამიანებზე და ქვეყანაში უფრო მეტი სოციალური სამართლიანობაა.

დასაქმება და ხელფასები

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.5 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირე ბიზნესის კლასიკური სახის დროს, ბიზნესის მფლობელები იმავდროულად მენეჯერებიც არიან, განსხვავებით დიდი კომპანიებიგან. ამიტომ თითოეულ ასეთ პატარა საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებამსხვილ კომპანიაში მომუშავე თანამშრომელთა რიცხვს. იმისათვის, რომ მცირებიზნესშიც დასქმებულთა რაოდენობა გაუტოლდეს მსხვილ ბიზნესში არსებულს, საჭიროა ბაზარზე მოღვაწეობდეს გაცილებით მეტი წარმატებული მცირე ბიზნესის საწარმო. დღეს უამრავი მცირე მეწარმე ადვილად კოტრდება და კონკურენციას ვერ უწევს მსხვილ ბიზსნესს ფინანსური, ტექნიკური თუ კვალიფიციური ადამიანისეული რესურსის დეფიციტის გამო. ევროპაში 65%მცირებიზნესშია დასაქმებული.

2019 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 151.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 45.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 934.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 93.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 205.6 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 291.2 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 017.0ლარი.

ფაქტია, რომ უმუშევრობა დღეს ისევ მაღალია. დასაქმების ბევრმა პროგრამამ რეალური შედეგები ვერ გამოიღო. მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას კი შეუძლია

გაზარდოს როგორც წარმოებული პროდუქტის და მომსახურების მოცულობა, ისე მნიშვნელოვნად აამაღლოს ადამიანების კეთილდღობის დონე.
ამისთვის, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სწორი საგადასახადო პოლიტიკა,დაბეგრ ოს მცირე განაკვეთით ან საერთოდ გაათავისუფლოს გადასახადისგანპირველ ეტაპზე . გადასახადების გადახდის აუცილებლობა ყველას კარგად ესმის,მაგრამ, გაუგებარია გადასახადის სიდიდე. მეწარმეს მხოლოდ იმდენის გადახდაშეუძლია, რამდენის საშ უალებაც აქვს. ეს საშუალება კი იმდენაც მცირეა,რამდენადაც სუსტია ქვეყნის ეკონომ იკა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროახელისუფლებამ გამოთვალოს რამდენის გადახდა შეუძლია მეწარმესმნიშვნელოვანი ზარალის გარეშე და სწორედ ამდენი და უწესოს გადასახდელად.მცირე ბიზნესზე ბევრი საუბარია, თუმცა შედეგი ჯერჯერობ ით არ ჩანს.ერთადერთ იმით შეგვიძლია ვიტრაბახოთ, რომ ჩვენთან მსოფლიოში თი თქმის ყველაზე ადვილია ბიზნესის კეთება...

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის

ცვლილება კვარტლების მიხედვით



ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წლის I კვარტალი



ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით


720
680
640
600
560
520
480
440
400
660.0
665.5
684.5
663.8
2017 IV კვარტალი
2018 I კვარტალი
2018 IV კვარტალი
2019 I კვარტალი

დასკვნა

მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია მცირე ბიზნესის განვითარებაზე, ის არის ზოგადად ბიზნესის გაჩენის საშუალება, რომელზეც დაშენდება საშუალო და მსხვილი ბიზნესი. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებული მასალები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ადასტურებს, რომ მცირე ბიზნესის მნიშვნელოვნება მაღალია, თუმცა მისდამი დამოკიდებულება სხვადსხვა.

შესწავლილმა მასალებმა, გაანალიზებულმა მდგომარეობამ, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა, რომ მცირე ბიზნესის განვითარების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი არის მცირე ფინანსური რესურსები, რომელთა მართვის გამოცდილების არ ქონის გამო ხშირად კოტრდება მცირე საწარმოები. მთავარი არსი სამაგისტრო ნაშრომისა იყო გაგვეანალიზებია მცირე საწარმოებში ფინანსური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა, რომლის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გამოსწორება შეამცირებს საწარმოთა გაკოტრების რისკს. იქედან გამომდინარე, რომ პანდემიის პირობებმა არ მოგვცა საშუალება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მიგვეღო ინფორმაცია, ნაშრომში ვერ გაანალიზდა ფინანსური კოეფიციენტებში გამოყენებით კონკრეტული მცირე საწარმოს მდგომარეობა, ამიტომ ნაშრომში მოყვანილი ანალიზი აჩვენებს მცირე ბიზნესის წარმოების მოცულობას, დასაქმების დონეს, საიდანაც შეიძლება ჩამოყალიბდეს წინადადებები:

1. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა ფინანსური რესურსების მოპოვებისათვის;
2. ფინანსური განათლების ამაღლება საწარმოსი ფინანსური ანალიზის ჩატარების უზრუნველყოფისათვის;
3. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სწორი საგადასახადო პოლიტიკა,დაბეგროს მცირე განაკვეთით ან საერთოდ გაათავისუფლოს გადასახადისგან პირველ ეტაპზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროახელისუფლებამ გა მოთვალოს რამდენის გადახდა შეუძლია მეწარმეს მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე და სწორედ ამდენი დაუწესოს გადასახდე ლად.

4. საქართველოში ბიზნესის დაწყება გამარტივდა, მაგრამ თანმიმდევრული პოლიტიკა მცირე ბიზნესის განსავიტარებლად ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი.

მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის მიგვაჩნია ფინანსური შედეგების გამჭვირვალობა, რომლის შეფასება ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვების სირთულის გამო, თუმცა ცალკეული შეხვედრებიდამ მიღებული ინფორმაციის მიხედვით ფინანსური მენეჯმენტის ანალიტიკურ ინსტრუმენტები არ გამოიყენება და შესაბამისად რთულია პრობლემების დანახვა, რაც მასში არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ცერცვაძე ა, ხანთაძე გ. ვეკუა დ. სადაზღვევო საქმე, 2016.თბილისი

2.ასიე ცინცაძე,მელოიანი ფუტკარაძე ლილითი,,სადაზღვევო ბაზრის მდგრადობის ანალიზი.

3. ასიე ცინცაძე,ვლადიმერ ღლონტი,ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 #3,როგორ განვავითაროთ სადაზღვევო ბაზარი.

3. გიორგი გიგოლაშვილი,2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები სადაზღვევო ბაზარზე ,ჟურნალი ,,forbes''(29 ივნისი 2017)

4. თამარ ლაზარიაშვილი,კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე და მისი რეგულირების მექანიზმები.

5.თამარ ღუტიძე,იბერია 2-„ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე“(თბილისი 2015).

6.თენგიზ ვერულავა, თეონა ელიაშვილი,,სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები'' სამეცნიერო ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1. 2015 ,http://eprints.iliauni.edu.ge/2995/1/

7.ირინა გურული,სადაზღვევო სექტორის სტატისტიკა,რადიო თავისუფლება.

8. ეკატერინე გობეჯიშვილი-ნაშრომი

9.ნატალია კაკაშვილი,ბიზნესი და კანონმდებლობა (2008 #20),სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები.

10. ნატო კაკაშვილი, სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური ასპექტები,ბიზნესი და კანონმდებლობა.

11.კაკაშვილი,ნ.(2010)გადახდისუნარიანობის სპეციფიკა სადაზღვევო საქმიანობაში

12. .საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სტატისტიკური მაჩვენებლები http://insurance.gov.ge/Legislation/Normative-Acts.aspx

13. .ჟურნალი "კომერსანტი"05,12,2016საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

14.ქეთი ზურაბიშვილი,დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასურველი ორგანიზაციული ფორმა.

15.www.economy.ge

16www.npl.gov.ge

17.ka.wikipedia.org

18.BM.ge

19. insurers of Europe.Solvency II Glossary.

20.Forbes.ge

21.radiotavisufleba.ge